



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №16

2014 წლის 28 მარტი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით სიმბოლურ ფასად პრივატიზების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და „თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19¹ მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. განხორციელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ნიგოთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ქვიანში მდებარე 2 საცხოვრებელ კორპუსში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N27.04.49.063. და საკადასტრო კოდი N27.04.49.062) არსებული ფართების (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი) პირდაპირი განკარგვის წესით სიმბოლურ ფასად პრივატიზება ფართებით მოსარგებლე პირებზე.

მუხლი 2. დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის სამსახურს (ვ. შალიკაშვილი) საქართველოს მთავრობისადმი წარსადგენი დოკუმენტაციის მომზადება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:



ამირან გივინეიშვილი